ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 5.19/01172096 71-17

"25" 10 2017 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სოფელი დიღომი, ქუჩა შერმადინი, №18-ში (საკ. კოდი №01.72.14.035.081) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №1011640 25.11.2013წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სოფელი დიღომი, ქუჩა შერმადინი, №18-ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

-2.80 ნიშნულზე ფრამუგებს ნაწილობრივ მონაცვლებულია აქვს ადგილი. ნაწილობრივ ჩასასმელია შუშები. ამავე ნიშნულზე X2 da X3 ღერძებზე დამატებით მოწყობილია კაპიტალური კედლები. 0.00 ნიშნულზე X4 ღერძთან ამოჭრილია ფილა. შეცვლილია სარინელის ფორმა და გაბარიტი. გაზრდილია „Y3 და y2" ღერძებს შორის მდებარე კიბის სიგანე. +17.20 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია რიგელები.

„Y5-y1" ფასადი: -1.20 ნიშნულზე შეცვლილია კარის ნახატი. +17.20 ნიშნულზე გაზრდილია ვიტრაჟის სიმაღლე.

„X1-x5" ფასადი: +10.80 და +14.10 X2-x3 მონაკვეთში ნიშნულებზე შესაღებია მოაჯირები. ამავე მონაკვეთში +10.80 ნიშნულზე ფიქსირდება არმატურის გადაბმა.

„X5-x1" ფასადი: X5 ღერძთან +13.20 ნიშნულზე და x1 ღერძთან +10.80 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია ლითონის დგარები. +17.20 ნიშნულის დაბლა შესალესი და შესაღებია კედლის ნაწილი.

„Y1-y5" ფასადი: 0.00 ნიშნულზე ნაწილობრივ შეცვლილია კედლების ფორმები.

ფასადებზე დამატებით მოწყობილია გამათბობლის კარადები, საქვაბეები, ანტენები, კონდენციონერები. ასევე დამატებულია გამწოვი, საკომუნიკაციო, საჰაერო, წყალშემკრები და წყალსაწრეტი მილები. შენობის კუთხეებში დამატებით მოწყობილია დეკორატიული ლესვა. ნაწილობრივ შესალესი და შესაღებია აივნის ძირები. შემცირებულია გამწვანების ფართი.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შ.პ.ს. „ვილასეტი"-ს, ქ. თბილისში, სოფელი დიღომი, ქუჩა შერმადინი, №18-ში (საკ. კოდი №01.72.14.035.081) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (დაბალი

ინტენსივობის მრავალბინანი საცხოვრებელი სახლი – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №19/0117209671-17 28.07.2017წ. და
№19/0117251209 4-17 08.09.2017წ. განცხადებები.
№წ-19/0117209671-17 31.07.2017წ ბრძანება.

სამსახურის უფროსის მოადგილე **გიორგი გეჯაძე**